მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

5 ოქტომბერი, 2020
№04/10-48

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ 2020 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის („ეს არის უხეში დარღვევა" | რა სამუშაოები მიმდინარეობს ნამახვანჰესზე) თანახმად, ენკა რინიუებლზი აცხადებს, რომ „დღევანდელი მდგომარეობით, ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე სამუშაოები რამდენიმე ობიექტზე ერთდროულად მიმდინარეობს:

- სოფელ ჟონეთში სრულდება დროებითი ბანაკის მშენებლობა, რომელიც 500 ადამიანამდე იტევს. ბანაკი ნაწილობრივ უკვე ოპერირებს.
- სოფელ მამაწმინდაში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ბეტონის ქარხნის მოწყობისა და სადაწნევო გვირაბთან მისასვლელი გზის მშენებლობისთვის.
- სოფელ ნამოხვანში შენდება დროებითი ხიდი და ასევე მიმდინარეობს ქვედა ნამახვანის ჰესის სადერივაციო გვირაბისთვის გათვალისწინებული ადგილის ზემოთ გზის დროებითი გადატანა.

კომპანიისვე განცხადებით, ნამოხვანის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზეც მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. „კერძოდ, ქვედა ნამახვანის ჰესის სადერივაციო გვირაბისთვის გათვალისწინებული ადგილის ზემოთ გზის დროებითი გადატანა“. „ენკაში“ ამბობენ, რომ აღნიშნულ სამუშაოებზე 2020 წ. 3 ივნისს გაცემულია ნებართვა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ“.

როგორც მოგეხსენებათ, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ნამახვანჰესების კასკადის (324 მგვტ) ქვემო ნამახვანის ჰიდრო-ელექტროსადგურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 22 აპრილის №60-04 ბრძანებით დეტალურად დადგენილია მშენებლობის განხორციელების ეტაპები და მათი მოსამზადებელი და ძირითადი რიგის სამუშაოები.

კომპანიის ზემოთმოყვანილი განცხადება ადასტურებს, რომ მიუხედავად კომპანიას შეფასებისა, დაწყებულია ძირითადი რიგის სამშენებლო სამუშაოები, რომელთა განხორციელების უფლება კომპანიას არ აქვს „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ 2020 წლის 28 თებერვლის N 2-191 ბრძანებით დადგენილი რიგი პირობების შესრულებამდე.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამუშაოები რომელიც ამჟამად ნამოხვანის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს, კომპანიის განცხადებითვე, ხორციელდება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2020 წ. 3 ივნისს გაცემული ნებართვის ფარგლებში; თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ამ საქმიანობაზე გაცემული არ არის.

გთხოვთ, შეისწავლოთ ზემოაღწერილი შესაძლო კანონდარღვევის შემთხვევები და მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამინისტროს მიერ მიღებული ზომების თაობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი